სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 მარტი 2025

N 99/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „მეგა ცემენტის“ მიერ (ს/კ - 404582153) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 5 დეკემბერს (წერილი N 11562) წარმოდგენილი იქნა ქ. რუსთავში შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N681/ს; 11/12/2024), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, 2011 წლის 11 აგვისტოს შპს „სინათლის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია N18 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნულის საფუძველზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მაისის N2-709 ბრძანებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. 2021 წლის 11 ივნისის N2-853 ბრძანებით შპს ,,სინათლზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს ,,მეგა ცემენტს“.

შპს ,,მეგა ცემენტმა“ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წლის განმავლობაში საწარმოს წარმადობის ზრდა 46 800 ტონიდან - 180 000 ტონამდე), სკრინინგის განცხადებით მიმართა სამინისტროს. სამინისტროს 2021 წლის 29 სექტემბრის N2-1398 ბრძანებით საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2024 წლის 8 ივნისს შპს „მეგა ცემენტის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ქ. რუსთავში, შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის

ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N48; ბრძანება N 465/ს; 22.08.2024).

სააგენტოს 2024 წლის 1 აგვისტოს №21/8122 წერილის საფუძველზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2024 წლის 12 აგვისტოს განხორციელდა საწარმოს ინსპექტირება და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი N089143.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმო მდებარეობს ქალაქ რუსთავში, მშენებელთა ქუჩა N175ა-ში, შპს „მეგა ცემენტის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.02.523), რომლის ფართობი შეადგენს - 11 018 $მ^2$-ს. (ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-503336.56, Y4595649.645; X-503346.495, Y-4595638.285; X-503326.235, Y-4595621.415; X-503335.480, Y-4595610.260; X-503345.435, Y-4595618.380; X-503351.910, Y-4595610.470; X-503339.460, Y-4595600.795; X-503357.505, Y-4595577.585; X-503359.400, Y-4595579.055, X-503373.705; Y-4595559.560; X-503408.295, Y-4595541.525; X-503466.285, Y-4595583.460; X-503388.290, Y-4595691.760; X-503346.425, Y-4595586.955; X-503345.070, Y-4595588.690; X-503348.790; Y-4595588.795; X-503347.440, Y-4595590.530.) საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 02.07.03.008) მდებარეობს 70 მეტრში (57 მ - საკადასტრო საზღვრებს შორის), შპს „სოლოს“ ცემენტის საწარმო (მიწის ნაკვეთის ს/კ 02.07.03.006) - 15 მეტრში, სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ მეტალურგიული საწარმო (ს/კ: 02.07.02.010) - 40 მეტრში, შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა საწარმო შესაბამისი ინფრასტრუქტურით (ს/კ: 02.07.02.482 და ს/კ: 02.07.02.463) - 20 მეტრში, შპს „ქართული ცემენტის“ ცემენტის საწარმო, (ს/კ: 02.07.02.035) - 50 მეტრში, ი/მ კობა პაპავას ბეტონის და ბეტონის ნაკეთობების საწარმო (ს/კ: 02.07.02.538) - 105 მეტრში, შპს „ელიზბარაშვილი და კომპანიის“ ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობების საწარმო - 80 მეტრში, შპს „რუსთავი UNIVERSY“-ის ცემენტის და ბეტონის საწარმო - 250 მეტრში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად საწარმო განთავსებულია საწარმოო ზონა - იზ 1-ში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოო ობიექტის მიმდებარედ გაედინება შპს „მტკვარი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული მარინის არხი. მდ. მტკვარი, საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია 1.7კმ მანძილით, უახლოესი დაცული ტერიტორია გარდაბნის აღკვეთილი და ზურმუხტის ქსელი - „გარდაბანი“, GE 0000019 - მდებარეობს 4 კმ-ში, უახლოესი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწა - 1,8 კმ-ში, ხოლო უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - რუსთავის ციხის კომპლექსი - 1,3 კმ-ში.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია საქმიანობის განხორციელების არაქმედების (ნულოვანი) და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები. საქმიანობის განხორციელება და წარმადობის ზრდა დასაბუთებულია ბაზარზე ცემენტის პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნით და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითი ზემოქმედებებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილებოდა საწარმოს მოსაზღვრედ (35 მეტრში) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ. 02.06.01.066 და 02.06.01.037). აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, საჭირო იყო მიწის გამოსყიდვა სახელმწიფოსგან, ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობა-ნაგებობების საძირკვლისგან გაწმენდა და ახალი საწარმოს მშენებლობა, რომელიც არ იქნა მოწონებული გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ძველი შენობების საძირკვლის დემონტაჟით და ახალი მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედებების გათვალისწინებით.

არსებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპანია წლის განმავლობაში აწარმოებს 46 800 ტ (15 ტ/სთ) სხვადასხვა მარკის ცემენტს. საწარმოს სამუშაო დრო განისაზღვრება 260 სამუშაო დღით და 12 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოს მიერ გამომუშავებული პროდუქტის შენახვა ხდება 4 ერთეულ სილოსში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კომპანიას დაგეგმილი აქვს სამუშაო დღეების (260 დღის ნაცვლად - 340 დღე) და საათების (12 საათის ნაცვლად - 24 სთ), ასევე წისქვილის მაქსიმალური დატვირთვის (15 ტ/სთ ნაცვლად 25 ტ/სთ) პირობებში საწარმოს მიერ წლის განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის გაზრდა 46 800 ტონიდან 204 000 ტონამდე. საწარმოს წარმადობის ზრდასთან ერთად მოხდება 3 ერთეული (თითოეული 65 ტ) სილოსის მოწყობა-ფუნქციონირება, რომელსაც ექსპლუატაციაში გაშვებამდე დაუყენდება ფილტრები. წარმოებული პროდუქციის ნაწილის დაფასოება მოხდება შესაბამის ტომრებში საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი დანადგარის მეშვეობით და დასაწყობდება საწარმოო ტერიტორიაზე, გადახურულ შენობაში მის რეალიზაციამდე. ნაყარი სახით პროდუქციის გაცემა მოხდება სილოსებიდან ცემენტმზიდებში. ამ ეტაპზე საწარმოში დასაქმებულია 30 ადამიანი, რომელთა რიცხვი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ გაიზრდება 40-მდე.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორია მობეტონებულია და მასზე განთავსებულია წარმოებისთვის საჭირო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები (ნედლეულის სასაწყობო ფართები, სასწორი, ნედლეულის ასარევი მოედანი, 2 ცალი მიმღები ბუნკერი, საფილტრაციო შენობა, მზა პროდუქციის ავზი, ცემენტის შესაფუთი ხაზი, 4 ერთეული სილოსი (თითოეული 500ტ მოცულობის), საპროექტო 3 ერთეული სილოსი (თითოეული 65 ტ მოცულობის), ადმინისტრაციული და მოსასვენებელი სივრცეები სველი წერტილებით, ტრანსპორტიორები და ერთი ერთეული წისქვილი). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო ტერიტორიაზე მოწყობილია საწვავის გასამართი სვეტი, მიწისქვეშა ავზით (არამუშა მდგომარეობაში), 50 $მ^3$ მოცულობის წყლის რეზერვუარი ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და სანიაღვრე სისტემა. პროექტი არ ითვალისწინებს არსებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ბუნებრივ აირზე მომუშავე, 3 ტ/სთ წარმადობის მქონე ნედლეულის საშრობი დოლის მოწყობას.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია ოთხი სხვადასხვა მარკის (CEM II 42.5; CEM II 32.5; MC 22.5X; CEM I 42.5) ცემენტის წარმოება. გაანგარიშებულია თითოეული სახეობის 1 ტონა პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის (თაბაშირი, ღორღი, კლინკერი) პროპორციულობა და აღწერილია წარმოების პროცესი. პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის შემოტანა ხდება, როგორც აზერბაიჯანიდან, ასევე ადგილობრივი ბაზრებიდან და თავსდება ანგარის ტიპის გადახურულ შენობაში, სადაც მიმდინარეობს ნედლეულის შერევა (ნედლეულის შემრევ ორმოში). შერეული ნედლეულის (შესაბამისი დოზირებით) ჩატვირთვა ხდება მიმღებ ბუნკერებში. ნედლეული ბუნკერებიდან ტრანსპორტიორით დასაფქვავად გადადის ფარდულის ტიპის გადახურულ შენობაში განთავსებულ წისქვილში. დაფქული ცემენტის დაახლოებით 90 % პირდაპირ გადადის დროებით სამარაგო ავზში, ხოლო დარჩენილი 10 % გაიტყორცნება ფილტრების ნაგებობაში, სადაც სახელოებიანი ფილტრების საშუალებით ხდება მტვრის დაჭერა. სამტვერე საკნებიდან ელევატორით ცემენტის მტვერი ბრუნდება უკან, სამარაგო ავზში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროდუქცია სამარაგო ავზიდან ჰაერის ზემოქმედებით გაიტყორცნება არსებულ 4 სილოსში (თითოეულის მოცულობაა 500ტ), ხოლო სამომავლოდ დაგეგმილია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით ზემოაღნიშნული 4 სილოსიდან საპროექტო 3 სილოსში მზა პროდუქციის ჩატვირთვა. დოკუმენტაციის თანახმად, 3 სილოსიდან 2 არის მოწყობილი და ამ ეტაპზე არ არის ექსპლუატაციაში შესული, ხოლო 1 სილოსი ვერტიკალურად განთავსებულია საწარმოს ტერიტორიაზე.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წისქვილი აღჭურვილია სამ სამსაფეხურიანი აირგამწმენდი დანადგარებით (I საფეხური - დამლექი კამერა 10 %-იანი ეფექტურობით, II საფეხური - ციკლონი 75%-იანი ეფექტურობით და სახელოებიანი ფილტრი 99.9 % - იანი ეფექტურობით). მტვერდამჭერებში დაჭერილი მტვერი დაბრუნდება ცემენტის ელევატორში, ხოლო გაწმენდის შემდეგ დარჩენილი მტვერი გაიფრქვევა ატმოსფეროში 10 მ სიმაღლის და 0.7 მ დიამეტრის მილით. საწარმოში წარმოებული პროდუქციის ლაბორატორიული მონიტორინგი მიმდინარეობს ტერიტორიაზე არსებულ ლაბორატორიაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხდება, დღის საათებში, ძარაგადახურული ავტოთვითმცლელების საშუალებით. საწარმოდან ტომრებში შეფუთული პროდუქციის გატანა ხდება ასევე ავტოთვითმცლელებით, ხოლო, ნაყარი პროდუქციის - ცემენტმზიდებით. ამ ეტაპზე გადაზიდვების რაოდენობა შეადგენს 11 (6 - ნედლეულის შემოტანა; 5 - პროდუქციის გატანა), ხოლო საწარმოს წარმადობის ზრდის გათვალისწინებით მოსალოდნელია გადაზიდვების ზრდა, დღეში 35 გადაზიდვამდე (18 ნედლეულის შემოტანა და 17 პროდუქციის გატანა). სატრანსპორტო გადაზიდვებით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, კომპანიას შემუშავებული აქვს შემარბილებელი ღონისძიებების მართვის გეგმა, რომელიც თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს. სატრანსპორტო გადაზიდვების დროს გამოყენებული იქნება რუსთავი-გარდაბანი-ვახტანგისის საავტომობილო გზა. საწარმოში ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 5 ერთეული სხვადასხვა მარკის ავტოთვითმცლელი და 5 ერთეული ცემენტმზიდი. დოკუმენტაციის შესაბამისად, დამტვერიანების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად საწარმოო ტერიტორიის დატოვებამდე მოხდება სატრანსპორტო საშუალებების საბურავების გასუფთავდება, ხოლო მშრალ, მზიან და ქარიან ამინდში ყოველ 2 საათში ერთხელ გათვალისწინებულია საწარმომდე მისასვლელი გზის მონაკვეთის მორწყვა. კომპანიის მიერ, საწარმო ტერიტორიის ღობის გასწვრივ დაგეგმილია გამწვანების ზოლის მოწყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის საჭირო წყალაღება ხდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. წარმოების პროცესში წყლის გამოყენება ხდება მხოლოდ საკისრების გაგრილების უზრუნველსაყოფად. საკისრების შეზეთვის სისტემა დახურულია და წყლის დაბინძურება (ზეთებით და სახიფათო მასალებით) მოსალოდნელი არ არის, წყლის გამაგრილებელი მილის ჰერმეტულობის დარღვევის თავიდან არიდების უზრუნველსაყოფად კომპანიის მიერ გათვალისწინებულია დანადგარების მუდმივი მონიტორინგი. ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გათვალისწინებულია 50 მ^3 მოცულობის წყლის ავზის გამოყენება, რომლის წყლით შევსება ხდება საწარმოს მიმდებარედ გამავალი მარინის არხიდან, შესაბამისი ხელშეკრულებით. ხანძარსაწინააღმდეგო ავზში დაგროვებული წყალი ასევე გამოიყენება საწარმოს ტერიტორიის და საწარმომდე მისასვლელი გზის მოსარწყავად. წლის განმავლობაში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის მოხმარებული წყლის ხარჯი შეადგენს 612 მ^3, მოსარწყავად და საკისრების გაცივების პროცესში საჭირო წყლის რაოდენობაა 500 მ^3/წელიწადში. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა შეადგენს 550.8 მ^3 წელიწადში. ტერიტორიაზე არსებული შენობის ფართის, ნალექების ოდენობისა და ბეტონის საფარის გაანგარიშებით სანიაღვრე წყლების წლიური რაოდენობაა 26 826 მ^3.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება საასენიზაციო ორმოში, რომელსაც მომსახურებას უწევს შესაბამისი კომუნალური სამსახური. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე ქსელი, სადაც ხდება საკისრების გაგრილების სისტემიდან წარმოქმნილი წყლის ჩაშვება, რომელიც სანიაღვრე წყლებთან

ერთად ჩაედინება შპს “მტკვარი ენერჯის” დაქვემდებარებაში არსებულ მარინის არხში. ანგარიშის თანახმად სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკების თავიდან აცილების მიზნით, გადაიხურა წისქვილის ტერიტორია, ასევე დოკუმენტით განსაზღვრულია სანიაღვრე არხებზე მექანიკური სალექარების მოწყობა და სალექარების გავლის შემდეგ აღნიშნული წყლების მარინის არხში ჩაშვება. შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით შპს „მეგა ცემენტს“ გათვალისწინებული აქვს სანიაღვრე არხებზე მექანიკური სალექარების მოწყობა. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო პროცესში ჩართული წისქვილის საკისრების შეზეთვის დახურული სისტემის ექსპლუატაციის პერიოდში არ დაფიქსირებულა ჩამდინარე წყლებში ზეთის გაჟონვის ფაქტები, შპს „მტკვარი ენერჯის“ მიზანშეწონილად მიაჩნია სანიაღვრე სისტემაზე მიმდინარეობდეს მუდმივი მონიტორინგი.

გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. გაანგარიშება წარმოდგენილია 11 ერთეული გაფრქვევის სტაციონარული წყაროს გათვალისწინებით. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი 70-20 % SiO2 და არაორგანული მტვერი SiO2<20 % შემცველობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედების მიზნით გაანგარიშებაში გათვალისწინებულია საწარმოს 500 მეტრიან რადიუსში მიმდებარედ არსებული საწარმოების შპს „სოლოს“ ცემენტის საწარმოდან, შპს „ქართული ცემენტის“ საწარმოს ორი გაფრქვევის წყაროდან (რომლებიც ხვდება 500 მეტრიან რადიუსში), სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ მეტალურგიული საწარმოდან, შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა საწარმოდან, ი/მ კობა პაპავას და შპს „ელიზბარაშვილი და კომპანიის“ ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობების საწარმოებიდან და შპს „რუსთავი UNIVERSY“-ის ცემენტისა და ბეტონის საწარმოებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა მონაცემები. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის პირობების გათვალისწინებით, სადაც ფონური მნიშვნელობის სახით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციები. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ობიექტის განთავსების ტერიტორიიდან ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე (დაშორების მანძილი 70მ, საკადასტრო საზღვრებს შორის 57მ) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს (მაქსიმალური კონცენტრაცია არაორგანული მტვერი 70-20% SiO_2, ზდკ-ს წილი შეადგენს 0,99 მგ/მ^3, რაც მაღალი მაჩვენებელია და კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობასთან ახლოს ფიქსირდება). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კონცენტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად არ აჭარბებს ზღვრულ მნიშვნელობებს და შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმო უზრუნველყოფილი იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემით. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტომატური თვითმონიტორინგის სისტემა დამონტაჟდება წისქვილის უბანზე (უწყვეტი მონიტორინგის წყაროს მიახლოებითი GPS კოორდინატია: X - 503361.15; Y - 4595628.24) არსებულ გაფრქვევის მილზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშს თან ერთვის უწყვეტი მონიტორინგის ხელსაწყოს საპასპორტო მონაცემები.

გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია ხმაურის წარმომქმნელი ძირითადი წყაროები (ავტოჩამტვირთველი რომლის ხმაურის დონე საპასპორტო მონაცემებით შეადგენს 90 დბა-ს, ასევე თვითმცლელი - ხმაურის დონე 88 დბა და ცემენტის წისქვილი - ხმაურის დონე 85 დბა). საწარმოს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელების თვალსაზრისით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით, შეფასებულ იქნა ხმაურის დონეები საწარმოს 500 მეტრიან რადიუსში მდებარე ყველა ობიექტთან (შპს „სოლო“, შპს „ქართული ცემენტი“, სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, შპს „რუსელოისი“, ი/მ „კობა პაპავა“, შპს „ელიზბარაშვილი და კომპანი“, შპს „რუსთავი UNIVERSY“) მიმართებაში. გაანგარიშდა ბგერითი სიმძლავრის დონეები საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (საკადასტრო საზღვრებს შორის 57 მ). ხმაურის გავრცელების მოდელირება განხორციელდა, სპეციალური პროგრამული აპლიკაციის საშუალებით ხმაურის წარმომქმნელ უბანსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 6 მ სიმაღლის ანგარის ტიპის შენობა-ნაგებობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „მეგა ცემენტის“ და მისგან 500 მეტრიან რადიუსში მდებარე ყველა ობიექტის ერთდროული ფუნქციონირების შედეგად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაცული იქნება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრულად დასაშვები ნორმა (34,2 დბა). გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან კვარტალში ერთხელ, მოსახლეობის მხრიდან საჩივრების დაფიქსირების შემთხვევაში გათვალისწინებულია ხმაურისა და ვიბრაციის მონიტორინგი ინსტრუმენტული მეთოდის გამოყენებით.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე, რომლის თანახმად, სატრანსპორტო პირობებზე და საზოგადოებრივ გზებზე ზემოქმედება მოსალოდნელია წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის შემოტანითა და საწარმოდან მზა პროდუქციის გატანით. როგორც აღინიშნა, საწარმოს წარმადობის ზრდის გათვალისწინებით, დღის განმავლობაში გათვალისწინებულია დაახლოებით 35 სატრანსპორტო გადაზიდვის (18 სატრანსპორტო გადაზიდვა ნედლეულის შემოსატანად, ხოლო 17 სატრანსპორტო გადაზიდვა პროდუქციის გასატანად) განხორციელება, რუსთავი-გარდაბანი-ვახტანგისის საავტომობილო გზის გამოყენებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებების გატარების თანახმად, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედება მოსახლეობაზე და სატრანსპორტო ნაკადებზე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის. შესაბამის სეზონზე გათვალისწინებულია საწარმოო ტერიტორიის პერიმეტრის გამწვანება მაღალმოზარდი მცენარეებით.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ გამოვლენილა. ვინაიდან საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას არ ითვალისწინებს, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და გეოდინამიკური საფრთხეების განვითარების რისკები მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი მართვის შესახებ. დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს საქმიანობის დროს, მტვერდამჭერ სისტემებში, ფილტრებზე დაჭერილი ცემენტის მტვერი გადის სარეალიზაციოდ. ნარჩენების გეგმა მოიცავს ინფორმაციას საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების (მუნიციპალური საყოფაცხოვრებო, სახიფათო და არასახიფათო) და მათი მართვის შესახებ, მათ შორის ჩამდინარე წყლების

დამუშავების შედეგად წარმოქმნილი შლამის შესახებ (რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს). საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და სამართავად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიისთვის გადაცემა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ავარიული სიტუაციების მართვის გეგმა. განსაზღვრულია ავარიული სიტუაციების, როგორც წარმოქმნის შესაძლო ვარიანტები, ასევე ავარიების თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრულია საწარმოს, როგორც ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის, ასევე საწარმოს ლიკვიდაციის მართვის საკითხები.
როგორც აღინიშნა, კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში, საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით ყურადღება გამახვილებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების და ხმაურის გავრცელების საკითხებზე. საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მ-იან რადიუსში მოქმედებს ატმოსფერულ ჰაერში ემისიების ანალოგიური მახასიათებლების მქონე ობიექტები, რაც გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოსა და მომიჯნავე ობიექტების ერთდროული ექსპლუატაციის პროცესში, საკონტროლო წერტილებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ხმაურის გავრცელების თვალსაზრისით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით, შეფასებულ იქნა ხმაურის დონეები საწარმოს 500 მეტრიან რადიუსში მდებარე ყველა ობიექტის ერთდროული ფუნქციონირების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, საწარმოსა და მომიჯნავე ობიექტის ერთდროული ფუნქციონირების შედეგად, ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილი დასაშვები ნორმებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 28 იანვარს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „მეგა ცემენტის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“, მუნიციპალიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების კითხვები შეეხებოდა უწყვეტი მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების, ნარჩენების მართვის, ხმაურის გავრცელების, სანიაღვრე არხში ზეთდამჭერი ფილტრის მოწყობის, წისქვილის საპასპორტო მონაცემებისა და სატვირთო ავტომობილების გადაადგილებით დაბინძურების საკითხებს, რაზეც განმარტებები გაკეთდა კომპანიის და საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლების მიერ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლაში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების კითხვები

ეხებოდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მონიტორინგის განხორციელების საკითხებს/საფუძველს, რაზეც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, გარემოს ეროვნული სააგენტოს, კომპანიის და საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლების მიერ გაეცათ შესაბამისი პასუხები. საჯარო განხილვების მსვლელობისას გამოთქმული საკითხები ასახულია საჯარო განხილვის ოქმებში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ნარჩენების მართვის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მეორე დანართის 5.4 ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. **შპს „მეგა ცემენტმა“** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. **შპს „მეგა ცემენტმა“** საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. **შპს „მეგა ცემენტმა“** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე (დაშორების მანძილი 70 მ). გეგმაში ასახული უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები და შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს შესახებ ინფორმაცია, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP) კვარტალში ერთხელ, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში (ტექნოლოგიური პროცესის მკაცრი კონტროლის მიხედვით, სადაც ყველა წყაროს ფუნქციონირება იქნება

დადგენილი) და შედეგების სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ერთხელ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად). გეგმაში ასევე უნდა აისახოს მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების შემუშავებისა და სააგენტოსთან შეთანხმების საკითხი. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

6. **შპს „მეგა ცემენტმა“** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები;
7. **შპს “მეგა ცემენტმა”** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს სანიაღვრე სისტემის (მარინის არხში ჩამდინარე წყლის) მონიტორინგი;
8. **შპს „მეგა ცემენტმა”** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
9. **შპს „მეგა ცემენტმა“** ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
10. **შპს „მეგა ცემენტმა“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
11. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს **„მეგა ცემენტს“** და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
12. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს **„მეგა ცემენტის“** მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
13. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE